



## შინაარსი

- საინვესტიციო ოქროს მინოდებისა და იმპორტის შესახებ
- აქციის განაკვეთები თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე
- სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილება
- ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა
- საფინანსო დაწესებულებიდან მიღებული დივიდენდის შემდგომი განაწილება
- საგადასახადო მოთხოვნის ან/და საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ
- საგადასახადო ვალდებულებების/ შეღავათების ვადების გადაწევა
- გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესი
- ცალკეული მუხლების ამოღების შესახებ

## ცვლილება კანონში

2025 წლის 14 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი 1061-IVმს-XIმპ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული ცვლილებები შეეხება შემდეგ საკითხებს:

### საინვესტიციო ოქროს მინოდებისა და იმპორტის შესახებ

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით, სსკ-ის 157-ე მუხლს, რომელიც მოიცავს ტერმინთა განმარტებებს დღგ-ის მიზნებისთვის, დაემატა ახალი “წ” ქვეპუნქტი. დამატებით განიმარტა საინვესტიციო ოქროს მნიშვნელობა, რომელიც გულისხმობს არანაკლებ 995/1000 სინჯის ოქროს ზოდს ან ფირფიტას, აგრეთვე არანაკლებ 900/1000 სინჯის ოქროსგან დამზადებულ ოქროს მონეტას, რომელიც გამოშვებულია 1800 წლის შემდეგ და გამოშვების ქვეყანაში ფულად-საგადახდო საშუალებად გამოიყენება/გამოიყენებოდა. აღნიშნული ცვლილების შედეგად განახლდა ასევე სსკ-ის 172-173-ე მუხლები, რომელთა მიხედვით საინვესტიციო ოქროს მინოდება და იმპორტი გათავისუფლდა დღგ-ით დაბეგრისგან ჩათვლის უფლებით.

### სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილება

განხორციელებული ცვლილებით კოდექსის 309-ე გარდამავალ დებულებათა მუხლს დაემატა ახალი 103<sup>1</sup> ნაწილი, რომელიც ეხება სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების დაბეგრას მოგების გადასახადის მიზნებისთვის. აღნიშნული ნაწილის თანახმად სადაზღვევო ორგანიზაციებისთვის მოგების განაწილებად მიიჩნევა 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილება, ხოლო 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული დივიდენდის შემდგომი განაწილება არ ჩაითვლება მოგების განაწილებად.

### საფინანსო დაწესებულებიდან მიღებული დივიდენდის შემდგომი განაწილება

აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, 309-ე მუხლს დაემატა ახალი 99<sup>2</sup> ნაწილი, რომლის მიხედვით, თუ რეზიდენტი საწარმოს დივიდენდი მიღებული აქვს საფინანსო დაწესებულებიდან 2023 წლის ან ამავე წლის შემდგომი პერიოდების კუთვნილი მოგების განაწილების შედეგად და ადგილი აქვს აღნიშნული დივიდენდის შემდგომ განაწილებას, რეზიდენტი საწარმოს მიერ გადახდილი დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება და შესაბამისად, არ ჩაირთვება დივიდენდის მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში.

## საგადასახადო ვალდებულებების/ შეღავათების ვადების გადანევა

აღნიშნული ცვლილებით სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით გადაინია საგადასახადო კანონმდებლობის მოქმედებების ვადებმა ან/და საგადასახადო შეღავათებმა, კერძოდ:

### **უძრავი ქონების მიწოდებისა და მასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების გაწევის დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლების მოქმედების ვადის გაგვიანება**



კოდექსში განხორციელებული ცვლილები ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით შეეხო გარკვეული კატეგორიის (მუხლი 309, ნაწილი 79-ით გათვალისწინებული) უძრავი ქონების მიწოდებას აგრეთვე ასეთი უძრავი ქონების მიწოდების მიერ მიწოდებულ ქონებასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების გაწევას. კერძოდ, აღნიშნული ოპერაციები ექვემდებარებოდა დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებას, თუ აღნიშნული მიწოდება ხორციელდებოდა 2015 წლიდან 2026 წლის 1 იანვრამდე პერიოდში. ცვლილების შედეგად კი ვადა გადაინია 2029 წლის 1 იანვრამდე.

აღნიშნულმა ცვლილებამ თავის მხრივ განაპირობა ზემოთ მოყვანილ ოპერაციებთან დაკავშირებით ხანდაზმულობის ვადების კორექტირება. კერძოდ, მოცემული საგადასახადო შეღავათების საფუძველზე 2015 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში განხორციელებული გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის მიმართ შესაბამისი საანგარიშო პერიოდის სსკ-ის მე-4 მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადები გაიზარდა რამდენიმე წლით (1-დან 5 წლამდე).

### **სოფლის მეურნეობის სფეროსთვის დადგენილი საგადასახადო შეღავათების მოქმედების ვადის გაგვიანება**

საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად, სოფლის მეურნეობის სფეროსთვის დადგენილ საგადასახადო შეღავათებს, რომლის მოქმედებაც განსაზღვრული იყო 2026 წლის 1 იანვრამდე, მოქმედების ვადა გადაეწინა 2028 წლის 1 იანვრამდე.

### **სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით პეჩიოდის გაზიარება 2028 წლამდე**

საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად, სოფლის მეურნეობის სფეროს შეღავათების მსგავსად სხვა საკანონმდებლო ნორმების მოქმედების ვადაც გადაინია 2028 წლის 1 იანვრამდე, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლების ვადა, რომელიც დადგენილია ფიზიკური პირის მიერ პროცენტის სახით მიღებულ შემოსავალზე, რომელიც წარმოშობილია რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან.

ვადების გახანგრძლივება ასევე შეეხო ფიზიკური პირებისთვის გათვალისწინებულ სხვა შეღავათებსაც, კერძოდ, 2028 წლის 1 იანვრამდე საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისგან თავისუფლდება ფიზიკური პირი, რომელიც არ იყენებს დაქირავებული პირის შრომას და ახორციელებს

ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან, მათ შორის, დახლიდან, გარდა ფიზიკური პირისა, რომელსაც მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი ან რომელიც დარეგისტრირებულია ან ვალდებულია დარეგისტრირდეს დღგ-ის გადამხდელად საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

გარდა ამისა, თუ 2028 წლის 1 იანვრამდე ფიზიკური პირი მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ადგილს მოკლე ვადით გასცემს, საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის შემთხვევაში იგი იბეგრება ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით, თუ იგი ნებაყოფლობით არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად ან ამ საქმიანობის ნაწილში ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული ოპერაციების საერთო თანხა 100,000 ლარს არ აღემატება.

## ცალკეული მუხლების ამოღების შესახებ

ცვლილების შედეგად ამოღებულ იქნა სსკ-ის 26-ე და 26<sup>2</sup>-ე მუხლები და შესაბამისად, გაუქმდა საგადასახადო სტატუსები, როგორცაა სპეციალური სავაჭრო ზონა და ბაზრობის ორგანიზება. თავის მხრივ, აღნიშნული სტატუსების გაუქმების საფუძველზე გაუქმდა ყველა ის საკანონმდებლო ნორმა, რაც კავშირში იყო ამ სტატუსის ქვეშ მოაზრებულ პირებთან. აღნიშნული ცვლილება განპირობებული იყო იმით, რომ აღნიშნული სტატუსების გამოყენება პრაქტიკაში არ ხდებოდა, იქიდან გამომდინარე, რომ შეღავათის მისაღებად სხვა სტატუსით დარეგისტრირება (მაგ, მცირე მენარმე) უფრო რელევანტური იყო შესაბამისი პირებისთვის.

## აქციზის განაკვეთები თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე

2025 წლის 28 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი 1114-IVმს-XIმპ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ეხება თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე აქციზის განაკვეთების ცვლილებას.

აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, განახლდა სსკ-ის 188-ე მუხლით გათვალისწინებული აქციზის განაკვეთები აქციზურ საქონელზე (გარდა ალკოჰოლიანი სასმელებისა), კერძოდ გაიზარდა სეს ესნ 2402 20 და 2404 11 000 00 კოდებით გათვალისწინებული თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე აქციზის განაკვეთები. ამავდროულად, სეს ესნ 2402 20 კოდში მოექცა ახალი თამბაქოს ნაწარმი (ადგილობრივი წარმოების სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით, ყოველწლიურად 35 მილიონ კოლოფამდე/შეფუთვამდე), რისთვისაც დაწესდა აქციზის განაკვეთი სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 15 პროცენტის ჯამით.

აღნიშნული საქონლისთვის გათვალისწინებული აქციზის განაკვეთის გამოყენების წესი და პირობები, აგრეთვე კვოტირების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან.

## ცვლილება ბრძანებაში

### ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა

2025 წლის 6 ნოემბერს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №24351, რომლითაც ცვლილება შევიდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის №22708 ბრძანებაში „ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნულის შედეგად შეიცვალა დებიტორული დავალიანების დაბეგვრის შესახებ მეთოდური მითითება.

ცვლილების თანახმად, მეთოდური მითითება ვრცელდება სსკ-ის 97-ე მუხლის მიხედვით მოგების გადასახადის ე.წ ესტონურ მოდელზე მყოფ რეზიდენტ სანარმოებზე, ასევე იმ არარეზიდენტ სანარმოებზე, რომლებიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებენ მუდმივი დაწესებულების მეშვეობით.

შესაბამისად, ეს მეთოდური მითითება არ გამოიყენება 2017 წლამდე, ხოლო სადაზღვევო ორგანიზაციების შემთხვევაში 2024 წლამდე წარმოშობილი და აუნაზღაურებელი დებიტორული დავალიანების თანხებთან და გადახდილ ავანსებთან მიმართებით.

მეთოდური მითითებით განისაზღვრა შემთხვევები, როდესაც აუნაზღაურებელი დებიტორული დავალიანება ან/და გადახდილი ავანსი შესაძლოა დაკვალიფიცირდეს, როგორც საწარმოს დირექტორზე (თუ არ არსებობს სხვა იდენტიფიცირებადი პასუხისმგებელი პირი) გაცემული ხელფასი. მოცემული შემთხვევები ეხება საწარმოს მიერ არარეზიდენტი პირისთვის ავანსის გადახდას ან/და საქონლის მიწოდებით/მომსახურების განვითარებით წარმოქმნილ დებიტორულ დავალიანებას. აუდიტორი უფლებამოსილია აღნიშნული ოპერაციები შესამოწმებელი პერიოდის ბოლოსთვის გადააკვალიფიციროს ამავე საწარმოს დირექტორზე გაცემულ ხელფასად, თუ სრულდება ყველა შემდეგი პირობა:

- ავანსის გადახდიდან ან/და დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია გონივრული ვადა, რომელიც მეთოდური მითითების მიხედვით შეიძლება იყოს არანაკლებ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვე.
- საგადასახადო შემონმების დასრულებამდე საწარმოს არ აქვს მიღებული შესაბამისი მომსახურება/საქონელი ან საქონლის შემთხვევაში არ დასტურდება ამავე საქონლის უკან დაბრუნება.
- საგადასახადო შემონმების დანიშნის თარიღამდე არ დასტურდება ავანსის უკან დაბრუნება ან/და დებიტორული დავალიანების ანაზღაურება.

ხაზგასასმელია, რომ ხელფასად დაკვალიფიცირებული თანხები განიხილება ხელზე გაცემულად და საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის მიზნებისთვის ექვემდებარება ე.წ. დარიცხვას (80%-ზე გაყოფა). ხოლო, თუ საგადასახადო შემონმების შედეგად შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისთვის გადახდილი ავანსი, რომელიც დაბეგვრილია მოგების გადასახადით, ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას, მაშინ გადახდილი მოგების გადასახადის თანხა ექვემდებარება ჩათვლას იმ საანგარიშო პერიოდზე, რომელ პერიოდშიც დაიბეგრება გადაკვალიფიცირებული თანხები ხელფასის სახით გაცემულად.

განახლებული მეთოდური მითითების თანახმად, აუდიტორი უფლებამოსილია, დებიტორული დავალიანებების მიმართ არ განსაზღვროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები, თუ პირზე/პირებზე, ამ მეთოდური მითითების შესაბამისად გადაკვალიფიცირებული თანხების ჯამის შესაბამისი საგადასახადო ვალდებულება არ აღემატება:

- მცირე კატეგორიის გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში - 1,000 ლარს
- საშუალო კატეგორიის გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში - 10,000 ლარს
- მსხვილი კატეგორიის გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში - 100,000 ლარს.

ცვლილება ძალაშია 2025 წლის 4 ნოემბრიდან.

## ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცვლილებებს საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და ბრძანებებში.

მარიამ ხუსკივაძე  
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე  
MEnukidze@bdo.ge

► ვრცლად [www.bdo.ge](http://www.bdo.ge)

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელო სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის

ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე.

გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის

განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

## საგადასახადო მოთხოვნის ან/და საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ

2025 წლის 14 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №296, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, განახლდა დანართი საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ და განისაზღვრა საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ განცხადების წარდგენისთვის საჭირო პროცედურები.

აღნიშნული ცვლილებით განახლდა საგადასახადო მოთხოვნის, ასევე საგადასახადო ან/და საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ განცხადების წარდგენის №1-12<sup>1</sup> დანართი. განახლებულ მე-8 სტრიქონში უნდა ასახოს აღნიშნული განცხადების წარდგენის მიზანი. ასევე, იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელთა გასაჩივრებაზეც პირი უარს აცხადებს, დაემატა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი, რომლის შესახებ ინფორმაციის ასახვისთვის განცხადებაში გამოყოფილია შესაბამისი სტრიქონი.

**ცვლილება ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან.**

## გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესი

2025 წლის 18 ნოემბერს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №25093 „გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესის შესახებ“ ახალი ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე. შედეგად, ძალადაკარგულად გამოცხადდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2023 წლის 30 ოქტომბრის №26626 ბრძანებით დამტკიცებული ზემოთ ხსენებული ინსტრუქცია.

შეგახსენებთ, რომ გადასახადის გადამხდელს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანების 6<sup>1</sup> მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს მიერ განესაზღვრება სიდიდის კატეგორია. შესაბამისად, პირს შეიძლება მიენიჭოს მცირე, საშუალო ან მსხვილი გადამხდელის კატეგორიებიდან ერთ-ერთი.

ცვლილების შედეგად, განახლდა გადასახადის გადამხდელისთვის მსხვილი კატეგორიის მინიჭების წესი. კერძოდ, მსხვილი კატეგორიის მისანიჭებლად გადამხდელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ამავე ინსტრუქციით გათვალისწინებულ არანაკლებ 2 კრიტერიუმს ერთდროულად, განსხვავებით წინა ინსტრუქციისა, სადაც 1 კრიტერიუმის არსებობაც კი წყვეტდა პირისთვის მსხვილი გადამხდელის კატეგორიის მინიჭებას. მსხვილი კატეგორიის მისანიჭებლად კრიტერიუმების ჩამონათვალს დაემატა ახალი „თ“ ნაწილი, რომელიც ეხება პირის მიერ შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრისთვის წინა 12 კალენდარული თვის მიხედვით გადახდილი ან უკან დაბრუნებული გადასახადის მინიმალურ ზღვარს არანაკლებ 1,000,000 ლარის ოდენობით.

**ცვლილება ძალაშია 2025 წლის 14 ნოემბრიდან.**